მომხსენებლის შესახებ:

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნინო სიმონიშვილი ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, ხელოვნების ისტორიის სპეციალობით. 1991-1994 წლებში იგი მონაწილეობდა თბილისისა და საარბრიუკენის უნივერსიტეტების გაცვლით პროგრამაში, რასაც მოჰყვა დისერტაცია თემაზე: „ყინწვისის ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატულობა“ (1994). 1995-2004 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის დოცენტი და სამეცნიერო ჟურნალის „Study of Art“ რედაქტორი (2003-2005); 2004-2007 წლებში სამეცნიერო მუშაობას განაგრძობს ნიუ იორკის უნივერსიტეტის ნატიფი ხელოვნების ინსტიტუტსა და მეტროპოლიტენ მუზეუმში, სადაც წარმოებული კვლევების შედეგია ნაშრომი „მეტროპოლიტენ მუზეუმის ჯვარცმის ფირფიტა: ახალი წაკითხვა“; 2007-2008 წლებში კვლევებს აწარმოებს სტამბულის კოჩის უნივერსიტეტის ანატოლიის ცივილიზაციის სამეცნიერო ცენტრში, შემდეგ კი ვაშინგტონის ნაციონალური გალერეის სამეცნიერო ცენტრში, რასაც მოყვა პუბლიკაციები ამავე ცენტრის სამეცნიერო ჟურნალში („გამოსახულების იდენტობა და იდენტობის გამოსახულება“).

2008-20013 წლებში ნინო სიმონიშვილი საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ნიუ იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმის ერთობლივი სამეციერო პროექტის „წარსულის რეკონსტრუქცია: ტრადიცია და ტრანსფორმაცია“ (UNESCO-ს მხარდაჭერით) ხელმძღვანელია; 2015-2017 წლებში კი საქართველოს სახელმწიფო ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრის დირექტორი. მუზეუმის სამეცნიერო პროექტის „კოლონიური პოლიტიკიდან ეროვნულ მუზეუმამდე“ ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგია პუბლიკაცია: „ვარძიის სახარების დაკარგული ყდის კვალდაკვალ.“ ამავე მუზეუმში განახორციელა საერთაშორისო საგამოფენო პროექტები („აღმოსავლურ–დასავლური დივანი,“ „ჩემი რობერტ ფროსტი“ და სხვ.)

ნინო სიმონიშვილი არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის მონაწილეა, რომლებიც ა. ფ. ჰუმბოლდტის, გ. ჰენკელის, უ. ფულბრაიტის, ა. და პ. მელონის ფონდების დაფინანსებით მიმდინარეობდა. მათ შორისაა: „გამოსახულების ანთროპოლოგია“ (კარლსრუეს დიზაინის აკადემია და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი), პროექტები ფრაიბურგისა და მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტებში და სხვ. 2017-2018 წლებში იგი მიწვეული მეცნიერის რანგში მოღვაწეობდა ფლორენციის ხელოვნების ინსტიტუტში, რომის

ჰერციანას ბიბლიოთეკასა და ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში, სადაც მუშაობდა სამეცნიერო პროექტებზე: „გამოსახულება, როგორც სოციალური აგენტი," და „ხელოვნების ისტორია - დისციპლინა პოლიტიკურ რაკურსში", რომლებიც საჯარო ლექციების სახით წარადგინა.

ნინო სიმონიშვილი სხვადასხვა წლებში იყო ამერიკის შუა საუკუნეების აკადემიის (2011), საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს (2012-2013) და ამერიკის მუზეუმების ასოციაციის (2016) წევრი. მისი სამეცნიერო კვლევების ძირითადი საკითხებია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კულტურულ ინტერაქციები, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ხელოვნება, ხელოვნების თეორია და ისტორიოგრაფია და გამოსახულების ანთროპოლოგია.